თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 15

28 სექტემბერი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	გიგა ორკოდაშვილი;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ნანა ხვისტანი;
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ალექსანდრე შათირიშვილი;
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	დავით ღაღანიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	დავით გოგოშვილი;
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	ლევან კოჭლოშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	ლევან ლილუაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები“ თავმჯდომარე	მაია მარკოზაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე	ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურიძე, გიორგი ჩაბრაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამი წულუკიძე, ვასილ არაბული, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, ზურაბი ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გუგა გურაბანიძე;
მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი;
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე;
მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგარდობის საქმეთა განყოფილების უფროსი იოსებ იაგორაშვილი და უფროსი სპეციალისტი სოფიო ახმეტელი;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები: ნიკა სახიაშვილი, სოფიო ოხანაშვილი.
მოქალაქეები: ა.მჭედლიშვილი, მ. მოსიაშვილი, ნ.კალაშიანი, ე.ჯაჭვაძე, ნ.შარვაშიძე

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები" შექმნის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან -12.15სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე
12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ი.იაგორაშვილი
12.30სთ-დან -12.45 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.45სთ-დან -13.00 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22 წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ზ.ნაცარაშვილმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები" შექმნის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.00სთ-დან -12.15სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეები" დაფუძნება მიღებულ იქნას ცნობად.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე

12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** ისაუბრა იმის თაობაზე, რომ განაშენიანების გენ.გეგმის დამტკიცებამდე არ უნდა მოხდეს ქალაქში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ი.იაგორაშვილი

12.30სთ-დან -12.45 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.ბერძენაშვილმა** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ გამოთქმული შენიშვნების შესაბამისად პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები და წარმოდგენილია შესწორებული ფორმით.

ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულომ დაამტკიცა ახალგაზრდული სტრატეგია ახლა უკვე მტკიცდება სპორტის განვითარების სტრატეგია, ყოველივე აღნიშნული იძლევა იმედს, რომ ამ მიმართულებით გვექნება გარკვეული წინსვლა და ის როგორც ერთი მოქალაქე აქტიურად ჩაებმება სხვადასხვა ღონისძიებებში.

ლ.კოჭლოშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სტრატეგიის შემუშავებაში.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა.**

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.45სთ-დან -13.00 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: მ.მოსიაშვილმა დასვა კითხვა საბჭოს მდივნის ფუნქციებთან დაკავშირებით, რაზეც მომხსენებლის მიერ გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ზ.ნაცარაშვილმა.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.00სთ-დან -13.15 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.თხლაშიძემ გააკეთა განმარტება იმის თაობაზე, რომ თითოეული საკრებულოს წევრი ვალდებულია ანგარიში წარადგინოს წარმოდგენილი წესის და ფორმის შესაბამისად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ზ.ნაცარაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე — არჩილი თხლაშიძე